რუსუდან ცისკარიძე

კულტურის როლი სოციუმში

რუსუდან ცისკარიძე
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის სპეციალობის მე-2 კურსის სტუდენტი

კულტურის მეცნიერეული გააზრების სათავეებიდანვე ცნობილია კულტურის ცნების დეფინიციის სირთულე. გ. ზიმელი აღნიშნავდა: "კულტურის მკვლევარმა და მასზე მოაზროვნემ, პირველ რიგში, ამ ცნების მრავალმნიშვნელობა უნდა შემოსაზღვროსო."[1] ზოგადად, სოციალურ მეცნიერებებში ძნელი წარმოსადგენია „კულტურაზე" უფრო ხშირად გამოყენებული ტერმინი. ცნება კულტურას ლათინური ძირი აქვს. ადრეული გამოყენების ყველა ვარიანტითა და მნიშვნელობით. „ჩულტურე" სასოფლო–სამეურნეო მცენარეების კულტივაციას, ფრინველის ან საქონლის გამოკვებას ნიშნავდა. მაგრამ იგი „დამუშავებას", „აქტივირებას" უბრალო ზემოქმედებას კი არ აღნიშნავდა, არამედ დადებით ზემოქმედებას, გაუმჯობესებას. „ზემოქმედება" გარკვეული მნიშვნელობით ჩარევას, ბალანსის და ჰარმონიის დარღვევას ნიშნავს. ამ თვალსაზრისით „კულტურამ" უარყოფითი ეფექტიც შეიძინა და ასეთი ჩარევის შედეგად თუ „წყალობით" ადამიანმა შექმნა სიცოცხლის მოსპობის სრულყოფილი საშუალებები. ეს განმარტება შენარჩუნებული იყო მანამდე, სანამ ტერმინის „გონების კულტურა" პირდაპირი მნიშვნელობით გაგება არ დაიწყეს. ამის შემდეგ კი კულტურა სულ უფრო ხშირად გამოიყენებოდა განვითარების აღსანიშნავად. ევროპულ აზროვნებაში კი კულტურა უკვე შეერწყმა ცნებას „ცივილიზაცია". ინგლისურ და ფრანგულ ენებში ტერმინი ბარბაროსი და კულტურა სინონიმურად დამკვიდრდა „ცივილიზაციით", მოძრაობა ველურობიდან, წესრიგისა და დახვეწილობისკენ. გერმანიაში კი ცნებამ „ცივილიზაცია" უარყოფითი ელფერი შეიძინა, აღნიშნა ბურჟუაზიული ხელოვნური თავაზიანობა. კულტურა პირიქით აღნიშნავდა ინტელექტუალური და სასულიერო მოღვაწეების შედეგებს. ამ იდეების ზეგავლენით ჩამოყალიბდა სემანტიკა, რომლითაც კულტურა მოიაზრება განვითარებისა და ადამიანის უნარების გაკეთილშობილების პროცესად. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბევრი მეცნიერის ნაშრომში კულტურა და საზოგადოება ერთსა და იმავეს აღნიშნავს. ქართველი მეცნიერი ე. კოდუა კულტურას განმარტავს იმ გაგებით, რაც არაა ბუნებრივი და ადამიანის მოქმედების ნაყოფია.[2]

"კულტურფილოსოფოსი ო. ჯიოევი აღნიშნავდა: „არ არის საკმარისი კულტურის განმარტებისას რაიმე საფუძველზე მითითება, საჭიროა იმის გამოკვლევა, თუ რამდენად საფუძვლობს ეს საფუძველი."[3] როგორც ჩანს, კულტურის ცნების დეფინიციის მრავალი საფეხური და განსხვავებული მოსაზრება არსებობს. ზიგმუნდ ფროიდი შეეცადა არაცნობიერის საშუალებით აეხსნა ადამიანის ქცევა, შემოქმედება, კულტურა. ზიგმუნდის აზრით, ადამიანის მამოძრავებელი ძალა არის სექსუალური ლტოლვა. ის ლტოლვის ორ სახეს გამოყოფს: ლტოლვა სიცოცხლისაკენ და ლტოლვა განადგურებისაკენ. ფროიდი თვლის, რომ ადამიანის საქმიანობის განმაპირობებელი სუბლიმირებული ლიბიდო ცდილობს დაიკმაყოფილოს თავი სხვადასხვა სფეროში და ეს ედება საფუძვლად კულტურის შექმნასა და განვითარებას. მისი აზრით, სიზმარი, ისევე როგორც ხელოვნება, არაცნობიერი სურვილების გამოვლინების საშუალებაა. ფროიდი თვლის, რომ მხატვრული შემოქმედების წყაროს ადამიანის დაუკმაყოფილებელი ლტოლვები წარმოადგენს. ფროიდს მიაჩნია, რომ ხელოვანი არის ის ადამიანი, რომელიც არ ეგუება ლტოლვათა დაუკმაყოფილებლობას და ამიტომ ფანტაზიის სფეროში გამოხატავს თავის ეგოისტურსა და განდიდების სურვილებს. სქესობრივი ლტოლვა ბუნებრივი და ფუნდამენტურია ადამიანისთვის. ფროიდის მიხედვით, სექსუალური ლტოლვა, ლიბიდო, განიცდის კულტურის ზეწოლას, რაც გამოიხატება მისი ტაბუირებით[4]. ნათელია, რომ კულტურის არსებით მნიშვნელობასა და ფუნქციებზე მრავალი განსხვავებული მოსაზრება არსებობს, მაგრამ კულტურის უმინიშვნელოვანესი ფუნქციაა სოციალური გამოცდილების გადაცემა. კულტურა არსებობს საზოგადოებაში და საზოგადოებისთვის. კულტურის მნიშვნელობა საზოგადოებისთვის არსებითია და

[1] წიგნიდან: Miroslawa Grabowska, Instytut Kultury (Warsaw, Poland). Instytut Kultury, 1992 - Social Science - 259 pages.

[2] XX საუკუნის ქართული ფილოსოფიის ანთოლოგია. 2 ტომად. შემდგ.: ე. კოდუა. თბ. : თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1999.

[3] ჯიოევი ო. რა არის კულტურა. თბილისი, 1987. 32 გვ.

[4] ფროიდი ზ. ფსიქოანალიზი : თარგმ. გერმ. / [მთარგმნ. და რედ.: ვიტალი კაკაბაძე]. - თბ. : „სიახლე", 1995. 558 გვ.

Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com

მისი ყველა ფუნქცია სოციალურია. კულტურით ხდება სოციალურ-ისტორიული გამოცდილების გადაცემა თაობიდან თაობაზე. ადამიანებს კულტურის საშუალებით აქვთ არაპირდაპირი კავშირი თავიანთ წინაპრებთან, რომელთა სოციალური გამოცდილება უადვილებს შემდეგ თაობებს არსებობას. ახალი თაობა ითვისებს მათი წინაპრების ღირებულებებს, ქცევის წესებს, ნორმებს, ასევე ეთიკის წესებს. სოციალური მემკვიდრეობის გადაცემა კი ტრადიციების საშუალებით ხორციელდება. ტრადიცია არეგულირებს საზოგადოებისა და ინდივიდის ურთიერთობებს. ტრადიციას მაორგანიზებელი ფუნქცია აქვს და ამ ფუნქციის დაკარგვის შიშით აიხსნება სიახლისადმი ტრადიციული კულტურის ნეგატიური დამოკიდებულება. აგრეთვე, აღსანიშნავია კულტურის, როგორც პიროვნების სოციალიზაციის საშუალება. ზედაპირული დაკვირვებაც კი საკმარისია, რომ მივხვდეთ, რომელი კულტურის წარმომადგენელია ინდივიდი.

საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობა რთული და წინააღმდეგობრივია. კულტურის ფუნქცია კი იმას გულისხმობს, რომ მოარიგოს პიროვნებისა და საზოგადოების დაპირისპირება, მოახდინოს პიროვნების ინტეგრირება საზოგადოებაში. საზოგადოება ხომ ინსტიტუტებისა და სოციალური მიმართებების სისტემაა. კულტურა კი აყალიბებს პიროვნების ხასიათს, მენტალიტეტსა და მსოფლმხედველობას. კულტურა ავითარებს ადამიანის შინაგან სამყაროს და ინდივიდი ეზიარება საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ ღირებულებებს. მაგრამ ადამიანი თავისუფალი არსებაა და შეუძლია დაუპირისპირდეს ამა თუ იმ კულტურულ ნორმებს. რადგან თვითონ ნებისმიერი კულტურა, ხომ პიროვნებისა და საზოგადოების დაპირისპირების რეზულტატია.

კულტურა ადამიანის სოციალურ ღირებულებათა რეალიზაციის პროცესია, ადამიანის არსობრივ ძალთა გამოვლენის სარბიელია, სადაც კულტურის სუბიექტი და ობიექტი ურთიერთზემოქმედების შედეგად, ადამიანთა ჰუმანიზაციის დონესაც გამოხატავს. ამიტომ კულტურა არ დაიყვანება მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესის წყალობით, ბუნებაზე „გაბატონების" უზრუნველყოფაზე. კულტურის განვითარების კრიტერიუმია საზოგადოებაში ადამიანურ ურთიერთობათა ჰუმანიზაციის დონე, რის აუცილებელ პირობასაც სამოქალაქო საზოგადოების არსებობა ქმნის.

მართალია, კულტურის ცნების დეფინიციასთან დაკავშირებით ხედვა პლიურალისტურია, მაგრამ მისი არსებითი ფუნქციების შესახებ, აბსოლუტური კონსესუსია. მარგარეტ მიდმა კი გამოყო კულტურის სამი ტიპი: 1.პოსტფიგურაციული, სადაც ბავშვები სწავლობენ უფროსებისგან. 2. კოფიგურაციული, სადაც ბავშვებიც და დიდებიც სწავლობენ თანატოლებისგან და ბოლო, მე–3 ტიპი პრეფიგურაციული, სადაც უფროსები და ბავშვები სწავლობენ ერთმანეთისგან[5]. ახლა, კულტურის სამივე ტიპი ზედმიწევნით განვიხილოთ. კერძოდ, პოსტფიგურაციული კულტურები, ისეთი კულტურებია, რომელშიც ზრდასრულებს ვერ წარმოუდგენიათ ვერანაირი ცვლილება და ამიტომ თავის შთამომავლობას გადასცემენ თავიანთ გამოცდილებას. ეს ძირითადად დამახასიათებელია პირველყოფილი საზოგადოებისთვის. პოსტფიგურაციული კულტურისთვის დამახასიათებელია თავისი გავრცელების ადგილთან მიჯაჭვულობა. ამ კულტურაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება უფროსის მიერ დადგენილ წესებს. რაც შეეხება კოფიგურაციულ კულტურას, ესაა კულტურა, რომელშიც ხალხის ქცევა არის თანამედროვეობის ქცევა. საზოგადოებაში, სადაც კულტურის გადმოცემის საშუალებაა–კოფიგურაციაა, მოხუცებიც და ახალგაზრდებიც თხზავენ ქცევის განსხვავებულ ფორმებს, ყოველი ახალი თაობისთვის. კოფიგურაცია იწყება მაშინ, როცა იწყება პოსტფიგურაციული კულტურის ტიპის კრიზისი. თვითონ კოფიგურაციული კულტურა ხასიათდება იმით, რომ ახალგაზრდა თაობის გამოცდილება განსხვავდება მშობლებისა და ბაბუების გამოცდილებისგან. ახალგაზრდობამ თავად უნდა შეიმუშავოს ქცევის ახალი ნორმები. მარგარეტ მიდი ფიქრობს, რომ ახლა იბადება კულტურის ახალი ფორმა, რომელსაც პრეფიგურაციულს უწოდებს. ბავშვები ახლა დგანან მომავლის წინ პირისპირ: კომპიუტერების შექმნა, ატომური იარაღის გამოყენება, მსოფლიოს გლობალიზაცია. ამ ყველაფერმა მიგვიყვანა თაობათა შორის ძლიერ აფეთქებამდე. წარსულში, თუ უფროსებს შეეძლოთ ეთქვათ: „დამიჯერე მე ვიყავი ახალგაზრდა და შენ არასდროს ყოფილხარ მოხუცი", ახლა ახალგაზრდები ამბობენ: „ შენ არასდროს ყოფილხარ ახალგაზრდა იმ სამყაროში, რომელშიც მე ვარ და არც არასდროს იქნები." ახლა ბავშვები იზრდებიან სამყაროში, რომელიც არ იციან უფროსებმა და ვინც ამას აცნობიერებს, წარმოადგენს პრეფიგურაციული კულტურის წარმომადგენელს,

[5] Ruth Strothe. Margaret Mead: Cultural Anthropologist. 2009 - 112 pages.

Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com

რომელშიც მომავალი უცნობია. როგორც ჩანს, კულტურა საზოგადოების განუყოფელი და არსებითი ნაწილია. ო. ჯიოევი ირონიულადაც კი აღნიშნავდა: „კულტურის განსაზღვრებები ისე მომრავლდა, რომ საჭიროა ზომების მიღება მათი რაოდენობის ზრდის რეგულირებისთვისო.” მართალია, საყოველთაოდაა აღიარებული კულტურის ცნების განუსაზღვრელობა, მაგრამ დღეს ყველაზე ფართოდაა გავრცელებული კულტურის ჰერსკოვიჩისეული განმარტება: კულტურა ესაა ადამიანის გარემოცვის ის ნაწილი, რომელიც ადამიანების მიერაა შექმნილი.

THE ROLE OF CULTURE IN SOCIETY

RUSUDAN TSISKARIDZE - student of GTU

It’s quite complicated simply to define what does “culture” mean. Firstly, it just meant to feed the birds and animals and cultivation. Then people could realize how to use the term “mind culture”. Various sociologist and psychologist offer us different kind of definition of culture, but the fact remains, that culture and our life is firmly connected.

РОЛЬ КУЛЬТУРЫ В ОБЩЕСТВЕ

РУСУДАН ЦИСКАРИДЗЕ - студент ГТУ

Сложно определить дефиниция «культуры», первоначально оно означало обработка земли и кормление птиц, потом начали понимание культуры, как «культура разума». Разные авторы предлагают различные определения, но все едины в том, что культура неотъемлемая часть повседневной жизи.

Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com